ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 118/6

„22" „მარტი„ 2016წ.

თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

1.1ერთის მხრივ, **სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა,დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"** (შემდგომში - „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **თამილა ბარკალაიას** სახით და მეორეს მხრივ **შ.პ.ს „ლემა კომპანი"** (შემდგომში - „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **ლევან ჭიღლაძის** სახით.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. „შემსყიდველმა" განახორციელა გამარტივებული შესყიდვა 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში,შემსყიდველის სტრუქტურული ერთეულის სიღნაღის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) საჭიროებისათვის ფარდების კარნიზების (შესყიდვის ობიექტის ერთგვაროვნება CPV-კოდი 44100000 - სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები, ობიექტი CPV-კოდი 44115810-ფარდების კარნიზები) შესყიდვაზე და „მიმწოდებელმა" აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული საქონელი **719** (შვიდასცხრამეტი) ლარად (შემდგომში – „ხელშეკრულების ღირებულება").

2.2. ხელშეკრულების 2.1. პუნქტში აღნიშნულ ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები

3.1 შესყიდვის ობიექტის დასახელება, რაოდენობა, ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების დანართი #1–ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან, მიმდინარე წლის 29 მარტის ჩათვლით, შემსყიდველის მისამართზე „ თბილისი, თამარაშვილის 15ა

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება უნდა გაფორმდეს მიღება–ჩაბარების აქტით, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით.

5.2. საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს, საგადასახადო ანგარიშფაქტურას (იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი დღგ–ს გადამხდელია, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი, მაშინ მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი ცნობა საგადასახადო ორგანოდან) და სასაქონლო ზედნადებს დადგენილი წესის მიხედვით.

6. ანგარიშსწორების პირობები

6.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ლარებში;

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე;

6.3.ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება იწარმოებს ერთეულურადად, ხელშეკრულების 5.2 პუნქტში მითითებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების 15.1 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აღნიშნული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღეში.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1 მიაწოდოს შემსყიდველს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7.1.2კეთილსინდისიერად და მაღალპროფესიონალურ დონეზე შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

7.1.3. მიაწოდოს „შემსყიდველს" უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

7.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

7.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლის" სრული და დროული დაფინანსება.

7.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

8.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება.

8.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

8.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი მეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების ფასების შეცვლა დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს "შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

11.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების ან შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

13.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1 მხარეთა შეთანხმებით;

14.1.2. ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

14.1.3. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის წერილობითი გაფრთხილებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში;

14.1.4. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მატერიალური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი გენადი სადუნიშვილი.

15.2. წინამდებარე ხელშეკრულების 15.1. პუნქტით განსაღვრული პირის ფუნქციებია:

15.2.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება;

15.2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მიმწოდებელთან ანგარიშსწორების პროცესის რევიზირება, ინსპექტირების დასკვნის და ,,მიღება-ჩაბარების აქტის'' გაფორმება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

17. განსაკუთრებული პირობები

17.1. ხელშეკრულება შედგენილია 4 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს;

17.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება ,,მიმწოდებელთან'', სამი _ ,,შემსყიდველთან''.

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"	შ.პ.ს „ლემა კომპანი"
ქ. თბილისი თამარაშვილის #15ა	ქ. თბილისი, საჩხერის რ-ნი, სოფ.ჩიხა
სახელმწიფო ხაზინა	ს/ს „საქართველოს ბანკი"
კოდი № TRESGE22	კოდი BAGAGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022	ა/ა № GE95BG0000000694548200
ს/კ № 205169592	ს/კ №439396413
თამილა ბარკალაია	ლევან ჭილაძე
დირექტორი	დირექტორი

დანართი N1

N	საქონლის დასახელება	ზომა	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამში ფასი (ლარი)
1	ფარდის კარნიზები, მეტალის	1,18	4 ცალი	30	120
2	ფარდის კარნიზები, მეტალის	1,15	3 ცალი	31	93
3	ფარდის კარნიზები, მეტალის	1,45	1 ცალი	40	40
4	ფარდის კარნიზები, მეტალის	1,7	2 ცალი	45	90
5	ფარდის კარნიზები, მეტალის	1,75	8 ცალი	47	376

სულ ჯამში: 719 ლარი

„მემსყიდველი"
სსიპ „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი"

თამილა ბარკალაია
დირექტორი

„მიმწოდებელი"

შ.პ.ს „ლემა კომპანი"

ფილიპე